

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- განსვენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:
ერთი თვით - 2,40 ლარი,
სამი თვით - 7,20 ლარი,
6 თვით -14,40 ლარი,
ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარმოები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი
თემურ მარმანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი
ოჩხაბათი აღიონზე
«ალიონით»

„კაკიტულაციას“ არ კაკირებთ

ალალყო მდომარეობა შვიტმნა ოჯურგეთში, მმტადრე ადგილი- ობრიპი თიპითმმარტმელოპის არჩმმმმმის დამთავრმმის შმმ- ღმმ. პრეილეგერებულ მდომარეობაში ჩაყენეს ერთი მედიასმუალება, დანარჩენზე (არასსურველად მონათ- ლულზე) ზეწოლამ კი პიკს მიადწია. **ტმმნიკურად მიმდინარემზს ანბარმზწომმმმმ, პირმმმმ- ბმმმისა და ორბანიწმმმმის ბაზრმმმმმმმმ - არ ბამმმ- წმრმმ კმმმმმტული ბაზმმ- მბმ, შმმუწლმმმ ამ მმმმ- სმშუაღმმმმს სმშმარმ ომწმრ- მმმმმმ. შმმმმმბა ომ-მმმს, რმმ ბაზმმთი „ალიონი“ ხმლი- სშუღმმმის მხრმმმ ამ არა- ჯმმსმლი დამომკმმმმ-მმის მმმმმმმმ მმმმმმ. ერთი სიტ- ყმთ, ყველმმარად ცმლილმმ „ალი- ონი“ ჩამმავალი მზის პოზმმმმმმ ვად- იყმმონ და დღეღმმე ელოღმმმინ რმღის დავმმმმმბთ, რმღის გამმ- აცხადმტ „კაკიტულაციას.“**

საბედნიეროდარის ხალხი ვინც ასე არ ფეტილმს, მეტიც, „ალიონი“ ოზ- რგეთის სავიზიტო ბარათად მიმჩნიათ. ყველაზე უფრო მგრმმობარეები ამ თვალსაზრისით ის ჟურნალისტებია, ვისაც თუნდაც ცოტა ხნით ჩვენს გაზეთში უღმმწია: „მმამმმლა კმმმმმმმ: მმ მმმმმარს ბაზმმთი „ალიონი“ ოს ჩმმმ ოჯურგეთის სმპმმმტო ბარმმთი წმმნა სმშუაღმმის 30- იმმნ მღმმმმმმ მმმმმმმმ, მმმმმარს ომმტომ, რმმ არმსმ- ოს იტმშუაღმ. მმმმმმ „ბმრმმ ნმშსს“ და „მკმმმს“ - წერს ჩვენს ფეისბუკ-გვერდზე ჟურნალისტი ეკმ ნმმმ, რომელიც ახალი ხელისუ- ფლმმის მოსვლამდე ქალაქ ოზუ- რგეთის სკოლამდე იმზრმის ცენ- ტრის ხელმძღვანელად მუშმობდა. ერთიც: როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ისე ადგილობრივი

მუნიციპალიტეტები აქცენტს პრესამ- სასურების გაძლიერებაზე აკეთებენ, რათა მოსახლეობას მიაწოდონ მხო- ლოდ მათთვის სასურველი ინფორმ- ცია. პრესმმმმსმსსსშრმმმ 2-3-ჯმრ მმტ ანმზღმშრმმმს იღმმმმ, ჰმმმ ამთ მმმმმსმშუაღმმმ- ბმმ შმმმმმმბა შმმსთმმმზონ, ამ- იტომ ახალბაზრდა შშრმმ- ლმმსტმმბი სმშმარმ დმშმმმ- უღმმმმმმ ამჯობმმმმმმ მშუა- ობმს.

ამკარად იგრმმობა ჟურნალისტის პროფესიისადმი უპატივემელობაც- ა(ა)იპ-ების ნაწილში პრესმმსმს- რებში დასაქმებული ჰყავთ ისეთი ად- მმანები, რომლებსაც არმმარი კმმმრი არ აქვთ ჟურნალისტკმსთან და ამ მხრმე არც არმფერს აკეთებენ. ისინიც სკამოდ მალალ ანაზღმურებმს იღმენ. ბაზმთი „ალიონის“ რმმმ- მმბა ამ პრობლმმმმმმ მშუ- აობს და უახლომს ხმმმ სმმრთმშორმსო ორბანიწ- მმმმს მმმმმმის შმმსმმმის დომკმმმმმმმმსა და ომწ- რმმმმმს ბმრმმის რმმმმმმ სმმმსშუღმმმის მხრმმმ ამ არა- მმმმის სმმმალყო მდომ- მმმმმმ ჩმმმმმის შმმსმმ.

P.S. ქართული ჟურნალისტიკის დღის მოლოცვისათვის მადლობას ვუხდით: ოზურგეთის მუნიციპალ- იტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის და სარეკრეაციო დაწესებულებათა ცენტრს და მის ხელმძღვანელს, ქალ- ბატონ თამარ ნადირიძეს; ქალბატონ ეკა ნინიძეს; ბატონ ზურაბ თოიძეს; გურიის მხარის, ოზურგეთის მუნი- ციპალიტეტის საკრებულოსა და მერი- ის პრესმმსმსსურებს. კოლეგებო, გილოცავთ ქარ- თული ჟურნალისტიკის დღეს!

ბაზმთი „ალიონის“ რმმმმმბა

ოჯურგეთში დაუნის სინდრომის სამრთაშორისო დღე აღინიშნა



ოჯურგეთის მუნიციპალიტეტში დაუნის სინდრომის სამრთაშორისო დღე საზეიმო ღონისძიებითა და მსვლელობით აღინიშნა. მსვლელობის დროს სასულიერო პირებმა ბენეფიციარები ტაძრის ეზოში დალოცეს და ზეთი აცხეს. ღონისძიება ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაგრძელდა, სადაც საბავშვო ანსამ- ბლებმა სხვადასხვა მუსიკალური ნომ- რები შეასრულეს. მერიის თანამშრომლებმა დაუნის სინდრომის შესახებ საინფორმაციო

ბუკლეტები დაარიგეს და ბენეფიცი- არებს საჩუქრები გადასცეს. ღონისძიება გურიის მხარეში სახ- ელმწიფო რწმუნებულის მოადგილე აკაკი შენგელია, ოჯურგეთის მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძე და ად- ელობრივი ხელისუფლების სხვა წარ- მმომადგენლები დაესწრნენ. ღონისძიება ოჯურგეთის მუნიცი- პალიტეტის მერიის განათლების, კულ- ტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და მასში შემ- კალი განყოფილებების და ორგანიზ- ებით ჩატარდა.

მკვებლის საწინააღმდეგო ღონისძიებების პირველი ეტაპი



გურიაში აზიური ფაროსანის საწინა- ადმდელო ღონისძიებების პირველი ეტაპი დაიწყო. ფაროსანის იდენტიფიკაციისა და არაელის დაღვინის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ვე- უფები ლანჩხუთის, ოჯურგეთის და ჩოხ- ტურის მუნიციპალიტეტების სოფლებში იმყოფებოდნენ, სადაც საკრმმადმო ტერი- ოტორიები, თხილის ფართობები და მი- ტოვებული შენობების სხვენები დათე- ალიერეს. დათვლიერების შედეგად ფიტოსანი- ტრები შეისწავლან მცენებლის რაოდე- ნობას. აარილიდან კი დამონტაჟდება სპე- ციალური ფერომონები, რომლის მეშვე- ბითაც დაღვინდება მცენებლის გაფრცლ- ების არეალი. მცენებლის საწინააღმდეგო ღონისძიებების დაწყების ვადა და დას- ამუშავებული ტერიტორიების არეალი მონ- იტორინგის შედეგების საფუძველზე განი- საზღვრება. მცენებლის საწინააღმდეგო ღონისძი-

ებების მიმდინარეობას, გურიის მხარის რწ- მუნებული ზურაბ ნასარაია და საკოორდი- ნაციო მართვის ცენტრის ხელმძღვანელი ლამა შალამბერიძე, ადგილობრივი ხელ- ისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნენ. რწმუნებული და ცენტრის ხელ- მძღვანელი ასევე შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მათ მცენებლის წინ- ადმდეგ დაგვემლო ღონისძიებებზე დეტ- ალური ინფორმაცია მაწოდეს. როგორც მოსახლეობასთან საუბრი- სს ლამა შალამბერიძე განაცხადა, მცენე- ბელთან ბრძოლისას მნიშვნელოვანია მისი გაფრცლების დროულად იდენტიფიკირე- ბა, რასაც ხელს შეუწყობს მონიტორინგი, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერ- იტორიაზე დღემდე დაიწყო. ინფორმაციის გაფრცლების მიზნით, მოსახლეობასთან შეხვედრები, ღონისძიებ- ების პარალელურად სისტემატურ რე- ჟიმში გაიმართება.

სოფელ ბახვსა და ზემო ნატანებში მემორიალური დაფები გაიხსნა

ქართული პარლამენტარიზმის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში დღეს ოჯურგეთის დემოკრა- ტიული ჩართულობის ცენტრის ორგანი- ზებით სოფლებში: ბახვსა და ზემო ნატან- ებში 100 წლის წინ საქართველოს - დამუშენებელ კრებამ არჩეული გურული ქალების ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძისა და ელისაბედ (ლიზა) ნაკაშიძის მემორიალური დაფები გაიხსნა.



პირველი გურული პარლამენტარი ქალების მემორიალური დაფა ოჯურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ოსიკო თოთიბაძემ და ოჯურგეთის დემო- კრატული ჩართულობის ცენტრის ხელმ- ძღვანელმა, გრიგოლ მახარაძემ გახსნეს. ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე 1889 წელს ოჯურგეთში, სოფელ ბახვში დაიბადა. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება. 1904 წელს ჩიტო შარაშიძე რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო ქალთა გიმნაზიიდან გარიცხეს. 16 წლის ასაკში ის სოციალ-დემოკრატულ პარტიას შეუ- ერთდა. 1917 წლიდან იყო თბილისის უნი- ვერსიტეტის დამუშენებელი საზოგადოების წევრი. 1019 წელს აირჩიეს საქართველოს დემოკრატული რესპუბლიკის დამუშენ- ბელი კრების წევრად. იყო კრების მდივანი, პრეზიდენტის და განათლების კომისიის წევრი. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ქრის- ტინე ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძ- რაობაში. ის არაერთხელ დააპატიმრეს. 19- 22 წლიდან ეწეოდა სამეცნიერო მო- ღვაწილს. გარდაიცვალა 1973 წლის 10 ნოემბერს თბილისში. ელისაბედ (ლიზა) ნაკაშიძე-ბოლქვაძე გურიაში, ოჯურგეთის მხარის სოფელ სამ- ლეთოში, დღევანდელ ზემო ნატანებში დაბ- აღებულია 1885 წელს. 1904 წლიდან შეერ- თებდა სოციალ-დემოკრატულ პარტიას. მუშაობდა გურიის კომიტეტში, ვლენებს მორის. მეფის რუსეთმა გურიის კომიტეტი რომ დაშალა 1907 წელს, ელისაბედიც

გადასახლა ამერკავკასიიდან. 10 წლიანი გადასახლების შემდეგ, სამშობლოში ლიზა 1917 წლის თე- ბერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა. 17 წლის 20 მარტს ლიზა გურიის ქალთა კომიტეტს ჩაუდგა სათავეში. 1919 წლის 12 მარტიდან არის საქართველოს დემოკრატული რესპუბ- ლიკის დამუშენებელი კრების წევრი. საბ- ჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპ- აციის შემდეგ, ლიზა ანტისაბჭოთა მოძრა- ობაში ჩაება. 1923 წლის მაისში "მწმევიკების" 78 კაციან ვეჯუთან ერთად გადასახლეს ურალის მხარეში. 1924 წლის აგანყების ჩანაშობის შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ ნება დართო სამშობლოში დაბრუნებულიყო. სათ-ავეში ედგა სოცდემოკრატული პარ- ტიის ცეკას და თბილისის კომიტეტებს. 1926 წლის ივნისში ისევ დააპატიმ- რეს. ლიზამ უარი თქვა ბოლშევიკებისთვის ჩვენება მიეცა პარტიულ მდგომარეობაზე. კვლავ გადასახლეს რუსეთში და მინსონ- სკის პოლიტ-იზოლატორში პატიმრობა მოუსაჯეს 3 წლით. სასჯელი გადასახ- ლებით შეუცვალეს და 3 წლით გაუხ- ანგრძლივეს, რომლის მოხდის შემდეგ ურალის მხარეში ცხოვრების ნება დართეს. 1936 წელს ისევ გადასახლება მოუსაჯეს, მერე დააპატიმრეს და 1937 წლის 13 თებერვალს დახვრტა მოუსაჯეს. 22 თებერვალს ლიზა ნაკაშიძე დახვრტეს.

„ივერიამ“ ტერენტი ბრანელის კომპანიაში გავაყვავლავა, „ინოვაციური“ აქტიური მითხველების მიერ წაკითხული წიგნების ანალიტიკური პროექტაციებით გაგვაკვირვა

თამარ მარგანიშვილი



გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომის საჯარო სკოლაში განსაკვირვებელი საოცრებები ხდება. აქ თითქმის ყოველ კვირას ენაცვლება ერთმანეთს შემოქმედებითი თუ შემეცნებითი ღონისძიებები, რომელთა სულისჩამდგმელი, რასაკვირველია, სკოლის დირექტორი, **რუსუდან ცეცხლაძე** გასლავთ, თავის პედაგოგიურ კოლექტივთან და მოსწავლეებთან ერთად.

19 მარტს „ივერიამ“ – სკოლაში მოქმედმა, უკვე საკმაოდ ცნობილმა ლიტერატურულმა სალონმა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ლირიკოსის **ტერენტი გრანელის** პოეზიაში გვაყვავლავა, ხოლო „ინოვაციურებმა“ – სამოქალაქო განათლების კლუბმა აქტიური მკითხველების მიერ წაკითხული წიგნების ანალიტიკური პროექტაციებით გაგვაკვირვა

ლიტერატურულ-შემეცნებითი კომპოზიციაზე „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“... არა მგონია, ვინმეს ენა სხვანაირად მოუბრუნდეს. „ივერიელებმა“ ყველაფერი იღონეს, რათა დამსწრე საზოგადოებისათვის ნამდვილი ტერენტი გრანელი ეჩვენებინათ. კარგად გასმის, რომ ასეთი ღონისძიებების გაშუქებისას აუცილებელი არ არის მონაწილეობა სათითაოდ ჩამოთვლა, მაგრამ მკითხველს რომ არ ვუთხრა მათი ვინაობა, ალბათ, არ ვიქნები მართალი.

– როგორც ექსპოზიცია, შთაბე-

ეჭვადი იყო **ქრისტინა მაკარაძის** ლოცვა სწავლის დაწყების წინ;

– გრანელისეული სევდა ჩადო ლექსში „პოეტი პატიმარი“ **ომარ ხომერიკმა**;

– ავტორეფერატი „სამეგრელოდან დედაქალაქამდე, ანუ ეკლიანი გზა პოეზიის პარანსისაკენ“ დამსწრე საზოგადოებამდე ხატოვნად მიიტანა **თომა ჭკუასელმა**;

– საოცრად მინორული იყო ამონარიდები ზოზია კვიციანიას მოგონებებიდან, რომელიც **ანანო ვოთუამ** წარმოგივინა;

– საგალობელი „გული ჩემი აღსავსე“ რბილი, განსხვავებული ტემბრით სულში ჩაგვიღვარა **მარიამ ჭაკნელიძემ**; მანვე წავიკითხა „სიცოცხლის გრადცია“;

– პოეტის შემოქმედებიდან „ცისფერი სინათლე“ მოგიტანა **ლანა ქობითაძემ**;

– თავისებური ინტერპრეტაციის ელფერი დაჰკრავდა **ქუცი ბოლქვაძის** მიერ წაკითხულ „პოეზიას“;

– რამდენიმე საინტერესო შტრიხი შემოგთავაზა **მარი ჭაკნელიძემ** ავტორეფერატში „მისტიკური და არარეალური ტერენტი გრანელის შემოქმედებაში“;

– ორიგინალობით გამოვარჩიეთ **ქუცი ბოლქვაძის** ავტორეფერატი „არა მხოლოდ კალმით, საქმით ერთგული“;

– ტერენტი გრანელის ყელით ამოთქმული „სამშობლო“ გაგვაცნო **ანა მისურაძემ**;

– პოეტის „გაზაფხულის სალ-

ამო“ აბსოლუტური სიზუსტით წარმოგივინა **გილა ცინარიძემ**;

– ავგაფორიაქა **ნიკა ჩიქოვანმა** ლექსით „მოგონება ქარში“;

– ცამდე აზიდა ლექსი „მარადისობის ლაფარდი“ **ანანო ვოთუამ**;

– თომა ჭკუასელში თვით ტერენტი გრანელი დავლანდეთ, ისე წავიკითხა ლექსი „მე და გალაკტიონი“;

– საოცრად დამუხტული და დინამიკური იყო **ანა მისურაძის** ავტორეფერატი „გალაკტიონისა და ტერენტი გრანელის პიროვნული და შემოქმედებითი ცხოვრების ისტორიიდან“;

– ამონარიდები ალ. სიგუას მოგონებებიდან, ქრონიკების სახით, გაგვაცნო **თამარ მეფარიშვილმა**;

– **ქრისტინა მაკარაძემ** დარბაზში პოეტის ლექსი „პაოლოს“ აახშიანა;

– ლექსის „მოგზაურობა თბილისისკენ“ გაცნობა **მარიამ კაცაძემ** იკისრა, რასაც შესანიშნავად გაართვა თავი;

– **ანა აფარიამ**, „ნელა ქრებიან სულის ლანდები“, პოეტის სევდიანი სონეტი შეგვაცხენა;

– ტერენტის „თბილისი მადლიდან“ რაკურსმეუცვლელად გიორგი **ხითარაშვილმა** დავგანახა;

– პოეტის „ავტობიოგრაფიით“ **თამაზა ჭკუასელმა** გრანელის სამყაროში გადაგვისროლა;

– პოეტის შემოქმედების აღსაქმელად ლექსით „თოვლი“ **ლანა მიშველიძე** წამოგვეშველა;

– ლექსით „გულში დარდია“ პოეტის დაძაბულ მაჯისცემამზე მიგვანიშნა **ნაბრი ფუტყარაძემ**;

– თავის საინტერესო ავტორეფერატში **გიორგი ხითარაშვილმა** „სიყვარულშიაც გაუხარელი პოეტი“ დავგვიხატა;

– უთუოდ ყურადსაღები ნაშრომი **თამარ კირკიტაძის** ავტორეფერატი „ტერენტი – უკვდავების ბინადარი“;

– ტერენტი გრანელის შემოქმედების აპოგე „მემენტო მორი“ დარბაზს შთაბეჭდავად წაუკითხა **თამარ მერაბიშვილმა**;

ლიტერატურულ-შემეცნებითი კომპოზიციის დასკვნითი აკორდი კი, ლოცვა სწავლის დასრულების შემდეგ, მაჟორში აიყვანა **ანანო ვოთუამ**.

უბრალოდ აღვნიშნავ, ახალს არაფერს ვამბობ: ორი განსხვავებული თემის ერთ ღონისძიებაში მოქცევა და ერთმანეთთან შერწყმა ისე, რომ

კომპოზიცია არ დაარღვიო და დინამიკა ბოლომდე შეინარჩუნო, თანაც დამსწრე საზოგადოება არ გადაღლო, მხოლოდ ისეთ ორგანიზატორებს ხელეწიფებთ, როგორც ქალბატონი რუსუდან ცეცხლაძეა. მეტიც, ღონისძიების მეორე ნაწილი სოფელ შრომის, სოფელ ხაჯალიისა და დაბა ურეკის საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების კლუბების წევრების აქტიური მკითხველების მიერ წაკითხული წიგნების პრეზენტაცია სიურპრიზების „საბადო“ აღმოჩნდა.

უბრალოდ, გადახედეთ, რა საინტერესო ავტორები და ნაწარმოებები შემოგვთავაზეს თავიანთი პრეზენტაციებით ამ მართლაც ინოვაციურებმა:

– **ელენე კვაჭანტირაძემ**, შრომის საჯარო სკოლა, VIII კლასი – **ოუსტაინ გოლდერის „ფორთოხლის გოგონა“**;

– **ლიზი ჭელიძემ**, ხაჯალიის საჯარო სკოლა, IX კლასი – **ხალიდ ხოსეინის „ათას მოეღვარე მზე“**;

– **ინა ჩიქოვანმა**, შრომის საჯარო სკოლა, IX კლასი და **მელორ გოგიტიძემ**, ურეკის საჯარო სკოლა, XI კლასი, ცალ-ცალკე, აბსოლუტურად განსხვავებული ხედვებით – **ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი“**;

– **ეკატერინე შერვაშიძემ**, შრომის საჯარო სკოლა, VIII კლასი – **დათო ტურაშვილის „ვინსების თაობა“**;

– **თამარ კირკიტაძემ**, შრომის საჯარო სკოლა, VIII კლასი – **ემილ ზოლას „აბე მურეს შეცოდებანი“**;



მოსწავლეთა რეგიონული საჭადრაკო პირველობაზე



გასულ კვირას ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა მოსწავლეთა შორის გურუის 2019 წლის ჩემპიონატი, რომელშიც ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების 27 საუკეთესო წარმო-

მადგენელი დებულობდა მონაწილეობას. ჭაბუკებს შორის ჩემპიონატი 10, 12 და 16 წლამდე ასაკში გაიმართა, ხოლო გოგონებს შორის პირველობა ცალკე ჩატარდა.

გოგონათა შორის საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა ძირითადად ოზურგეთის და ლანჩხუთის წარმომადგენლებს შორის გაიმართა. სადაც ოზურგეთელმა **თამარ ასათიანმა** მთავარ მეტოქე, ლანჩხუთელ **მარიამ სარიშვილთან** ერთად თანაბარი ქულები დაავროვა, თუმცა მათ პირად შეხვედრაში თამარმა მოიგო, ბულგოციის კოფეციენტის უკეთესი ჰქონდა და ჩემპიონობაც დამსახურებულად მიეკუთვნა. მესამე საპრიზო ადგილი ოზურგეთელმა **მარინე ღლონტმა** მოიპოვა, რომელიც თავის და მარიამს ნახევარი ქულით ჩამორჩა.

10 წლამდე ბიჭებს შორის ოზურგეთელებმა გამოიჩინეს თავი. აქ **ნიკოლოზ ბარამიძე** და **თენგიზ თოიძე** ცხრილის სათავეში თანაბარი ქულებით მივიდა, თუმცა უპირატესობა ნიკოლოზს უკეთესი კოეფიციენტით მიენიჭა. მესამე ადგილიც თანაბარქულიანი აღმოჩნდა, რომელიც ოზურგეთელმა **გიორგი ღლონტმა** და ჩოხატაურელმა **საბა ბოლქვაძემ** გაიყო.

12 წლამდე ბიჭებს შორის ლანჩხუთელებმა პირველი და მეორე ადგილი არავის დაუთმეს. **მიხეილ აფხაზაგა**, რომელსაც ოზურგეთში განსაკუთრებულად კარგად გამოსდის თამაში, ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა სახლში. ნახევარი ქულით ნაკლები დაავროვა, ასევე ლანჩხუთელმა **ავთანდილ ჯანაშიამ** და მეორე ადგილი დაისაკუთრა. ჩემპიონს ერთი ქულით ჩამო-

რჩა მესამე ადგილზე გასული ოზურგეთელი **ლუკა მანარაძე**.

ყველაზე მეტი მონაწილე 16 წლამდე ჭაბუკების ჩემპიონატში ჩაერთო, სადაც უმეტესად გამოცდილი და ტიტულოვანი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ და შესაბამისად კონკურენციაც მაღალი იყო. ოზურგეთელებს **ლუკა ღლონტის** კარგი თამაშის იმედი კი ჰქონდათ, მაგრამ ასეთ მაღალ და დამაჯერებელ შედეგს თუ აჩვენებდა არ ელოდნენ. მან მხოლოდ ერთი პარტია ითამაშა ყაბიით და დანარჩენი მოიგო, რითაც მთავარ მეტოქეებს ჩემპიონობის იმედი გადაუწყურა და 8,5 ქულით (9 შესაძლებლობიდან) ღირსეულად დაიკავა პირველი ადგილი. ლანჩხუთელებმა **თენგიზ სტურუამ** 7,5 ქულით და **გიორგი ფირცხა-**

– **ლანა მიშველიძემ**, შრომის საჯარო სკოლა, XII კლასი – **მიხეილ ჯავახიშვილის „კურდღელი“**;

– მაგდა ცირდავამ – შრომის საჯარო სკოლა, IX კლასი – **შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარი“**.

სკოლების დამეგობრებისა და მსგავს თემებზე ერთობლივად მსჯელობის იდეა ურეკის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგს **ციალა ჭეფხობიძეს** ეკუთვნის, რომელმაც მომავალი კვირისთვის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის კაფე „რვას+1-ში“ მიგვიპატიჟა თავისი მოსწავლეების ღონისძიებაზე.

პრეზენტაციები დადებითად შეაფასა ხაჯალიის საჯარო სკოლის დირექტორმა **ხათუნა აფხაზაგამ**, რომელმაც ცალკე აღნიშნა ურეკის საჯარო სკოლის მოსწავლის **მელორ გოგიტიძის** შინაგანი ინტელექტი და კამათის მაღალი კულტურა.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ამ ბავშვებმა ისეთი პრეზენტაციები გამართეს, წიგნიერ კაცს ათჯერაც რომ ჰქონდეს წაკითხული ეს ავტორები, მეთერთმეტედ მიუბრუნდება და არც შეცდება, რამეთუ ნამდვილი შედეგრი ანდამატებით მიმზიდველი და ამოუწყურავია.

მოკლედ, თუ გსურთ, სოფლად, არანაკლებ, ვიდრე ქალაქად, მაღალი ქართული პოეზიის ხიბლი შეიგრძნოთ, ან კიდევ ამა თუ იმ შემოქმედის რომელიმე ნაწარმოების პრეზენტაციას დაესწროთ, შრომა არც ისე შორსაა. როცა წასვლას გადაწყვეტთ, მადლს იზამთ, თუ ჩვენც დავკომგზავრებთ.

ხვარბეთის გზის რეაბილიტაცია დაიწყო



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხვარბეთში 4 868 მეტრი სიგრძის საავტომობილო გზის მშენებლობა დაიწყო.

ხვარბეთის გავლით კონკრეტის (კატისციხე) საზღვრამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციას ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ბლექ სი გრუპი“ ახორციელებს.

მიმდინარე სამუშაოები ოზურგეთის მერმა, **კონსტანტინე შარაშენიძემ** სახელმწიფო რწმუნებულთან გურიის მხარეში, **ზურაბ ნასარაიასთან**, მერის მოადგილე, ოსიკო თოთბაძესთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან - **თემურ ვიორგაძესთან** ერთად დაათვალიერა.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

წელს მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება. ხვარბეთის მოსახლეობას გზის პრობლემა წლების მანძილზე აწუხებს. მშენებლობა ახალი ტექნოლოგიით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს საფუძვლის მომზადებას სტაბილიზირებული გრუნტით, ჰიდრაულური შემკვრელების გამოყენებით. პროექტის სახელმძღვანელო ღირებულებაა 977 777 ლარი. თანხა რეგიონული განვითარების ფონდის მიერ გამოიყო, რომლის თანადაფინანსებაშიც ადგილობრივი საბუჯეტო სახსრებით შევედით,“ - აღნიშნა კონსტანტინე შარაშენიძემ.

პროექტი სანიაღვრე არხებისა და მოსახლეობის ჭიშკრებთან გადასასვლელების მოწყობასაც მოიცავს.

ხვარბეთში მერი ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდა, ამორტიზებული საბავშვო ბაღის შენობა დათვალიერა და ადგილობრივებს პირობა მისცა, რომ მერია ბაღის რეაბილიტაციის პროექტზე მუშაობას უახლოეს დღეებში დაიწყებს.

სამი ახსანაგური თამაში და სამივე მოგება!



ოზურგეთელმა კალათბურთელებმა ახსანაგური ასპარეზობები მოგებებით დაასრულეს!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ბავშვთა საკალათბურთო სექციის (2007 - 2008 წწ) სპორტსმენებმა თბილისში გასვლითი, ახსანაგური თამაშები გამართეს.

პატარა სპორტსმენებმა საკალათბურთო მტრები წარმატებით ჩაატარეს და შედეგით შესაბამისი დადეს. სამივე თამაშიდან, სამივე მოგება დაიწერეს.

ოზურგეთელი მოზარდები ამ ეტაპისათვის ჯუნიორ საკალათბურთო თამაშებისთვის აქტიურად ემზადებიან, რომელიც მაისი-ივნისის თვეში გაიმართება.

საფრანგეთში ქათამებმა ექვსი სასიკვდილოდ გაიგებეს

ფრანგულ ფერმაში რამდენიმე ათასმა ქათამმა სასიკვდილოდ გაიგებთა მათ საქათმეში შეღწეული მელა.

ეს უჩვეულო შემთხვევა მოხდა ბრეტანის სოფლის მეურნეობის აკადემიაში.


მძიერმა მელამ საქათმეში შეაღწია სამი ათას ქათამთან ერთად. ავტომატური კარები მამინვე მის წინ ჩაიკეტა და ცხოველი გამომწვეული ღარა. დილით ახალგაზრდა მელას სხეული ნისკარტებით დაკორტნილი ნახეს საქათმის კუთხეში.

„ძალაში შევიდა სტადიური ინსტიქტი, ქათამმა დაიწყო მსხვერპლის კორტნა, მელას ყელზე ატყვია ნისკარტის კვლი“, ყვება ფერმის ხელმძღვანელი პასკალ დანიელი სააგენტო „ფრანსპრესთან“ საუბარში.

„ქათამის დიდ ჯგუფს შეეძლო, დაეშინებინა მელა. შესაძლოა ის პანიკაშიც ჩაეყარა ასეთი რაოდენობის მოწინააღმდეგეთა პირისპირ“, - აღნიშნა დანიელმა ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში.

გრო-შანეს ფერმაში ექვსიათასამდე ქათამა. დღისით ისინი სეირნობენ საქათმეთან ახლომდებარე ტერიტორიაზე.

სკანვორდი



				სამისნო წიგნი		ბანგლადეშის ფული			ცეცხლის ენა		თურქი ფერმწერი		
							თხელი ლაფი				ცივი ადგილი ანასეულში		
				ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი		ნაცვალსახელი					პაგარა საწნახელი		
											სპირტიანი სასმელი		მეცხველები ორგანო
				დაღებითი პასუხი		ქალის სახელი	მონა ქალი						
					ჩამონათვალი			შახტი		ეთერი მოფერებით			
				გრამატიკული კავშირი		ლიახ							მეგრული სიმღერა
	სასიმინდე					მამაკაცის სახელი						ძაბა	
				საკუთარ თვალში რომ ვერ ხედავენ	კანონგარეშე გამოცხადებული სია								
	ქალაქი აფხაზეთში			ახალგაზრდა იურისტის ასოციაცია	მოჭარბა		მოგება ნარდში	კურთღი იმერეთში	სითხის საზომი	ცნობილი ილუმინისტი	ბილიარდის ჯოხი		
					ბგერის წერითი ნიშანი			ჩხუბი					წერილ-მანების ქურდი
	წამლის ფორმა		საგანგებო ღვაწლები	მეორე ნოტი		ღერეფანი გაღერვა							
				მეცხვე			ხშირი გყე				ვანთიადი		


№ 11-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - გიორგი ქავთარაძე; ნასეენი - ყამირი; მსახიობი რიჩარდ ... - გირი; პოეტი ... მირცხულავა - ალიო; კარნავალების ქალაქი - რიო; ბუოლი - თუთა; ქალის სახელი - მია; ქალაქის მთავარი მოედანი - ფორუმი; მრული - რკალი; დაქირაებული ჯარი - მონადე; ქართული საესტრადო ანსამბლი - ორერა; კვერი, ჩაქუჩი - თონზახი; ღვინის პალმა - რაფია; ავადმყოფი - სნეული; უდაბური - ხრიოკი; ერთგვარი სხივი - ლახერი; თბის საღებავი - ინა; ბაღის სკამი - მერხი; მეტყველების ორგანო - ენა; ... ემხვარი - თარამ; პოლონეთის დედაქალაქი - ვარშავა; მათა სისტემა - ქელი; ექვსიანი ნარდში - შაში; სამხედრო მოხელე სამეფო კარზე - სპასალარი; მე-3 პირის ნაცვალსახელი - ივი; ნადირობის ქალღმერთი - დლი; ... კუნარი - ივა; მეორე ნოტი - რე; მაჭანკალი - მამული; სამოთხე - ედემი; ნახევრად პერიფასი ქვა - ფირუზი; ავსტრიის დედაქალაქი - ვენა; მდინარე თბილისში - ვერე; ქსოვილი - ღრაფი; არსი - იდეა; ქალის სახელი - ანა; ცხვრის ან თხის ფარა - არვე; ყოფილი უნგრელი ფეხბურთელი - მესეი; მამაკაცის სახელი - ჯიმი; ციტრუსი - ლაიმი; ... პაჩინო - ალ.

1841 წლის აჯანყება გურიისში

იმატდება მსხვერპლი უფლებით

გაბრძობა დასაწყისი გაზ. „ალიონი“ №5-8, 10-11



ამ გზის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა იძლეოდა იმიტომ, რომ აჯანყებულები ოზურგეთი-ქუთაისის გზის ჩაკეტვის მიზნით რუსეთის ჯარის ჩონჩხურისა და ცხენიწვლის საგუმბოების განადგურებას აპირებდნენ. ოზურგეთში საბრძოლო საჭურვლის მარაგი თითქმის ამოწურული იყო. 11 აგვისტოს ბრუსილოვმა პოლკოვნიკ წერეთელს ქუთაისის საარტილერიო საწყობიდან ოზურგეთში 30 ფუთი ტყვიისა და 20 ფუთი თოვისწამლის გადატანა უბრძანა. 1841 წლის 9 აგვისტოს გოგორეთის ბრძოლის შემდეგ პოლკოვნიკ ალექსეი ბრუსილოვის მიერ კავკასიის კორპუსის შტაბის უფროს გენერალ-მაიორ პავლე კოცეპუსათვის გაგზავნილი მოხსენება ამ უკანასკნელმა 11 აგვისტოს შემდეგ მიიღო. კოცეპუსმა შექმნილი ვითარების შესახებ თბილისის სამხედრო გუბერნატორს გენერალ-ლეიტენანტ მისაილ ბრაიკოს აცნობა. კოცეპუსმა ბრუსილოვს შეატყობინა: 1. გურიის რაზმი ქუთაისში დარჩენილი მორე სახაზო ბატალიონის ძალებით გაძლიერდებოდა; 2. ოზურგეთის მიმართულაგებობა დაიძვრებოდა აფხაზეთში განლაგებული მორე სახაზო ბატალიონის ცხელი ასეული, რომელთა მოხსნა პოზიციებიდან შესაძლებელი იქნებოდა, ასევე – სამხედროსა და იმერეთის მილიცია. კოცეპუსმა ბრუსილოვს უბრძანა, გურიიდან ქუთაისში დაბრუნებამდე საქართველო-იმერეთის გუბერნიის იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის სამხედრო ნაწილის უფროსობა დონის კახათა მერვე პოლკის მეთაურ პოლკოვნიკ ბუთურაშვილის გადაეხდებინა. იმავე ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ გურიის რაზმის მეთაურად კვლავ ინიშნებოდა პოლკოვნიკი მიხეილ არსენიძის-დილოვსკი. 1841 წლის 14 აგვისტოს კოცეპუსმა არსენიძის აცნობა, რომ იგი გურიის რაზმის მეთაურად დაინიშნა.

გლეხების წინაშე, რომელთაც გადასახადის გადახდაზე უარი განაცხადეს, ხელისუფლებამ მას შემდეგაც კი დაიბრუნა მისი, რაც სხვა სოფლების მოსახლეობამ გადასახადი გადაიხდა; 3. აჯანყებულთა წინააღმდეგ აუცილებელია გადამწყვეტი მოქმედება, რათა ლოიალობამ უარეს შედეგამდე არ მიგვიყვანოს; 4. გურიანთა და ლიხაურის მცხოვრებთა წინააღმდეგ იარაღი უნდა გამოიყენოს მას შემდეგ, რაც მოლაპარაკება შედეგს არ გამოიღებს; 5. თუ იარაღის გამოყენება აუცილებელი გახდა, ქუთაისიდან გურიამ უნდა გადაისროლოს დამატებითი სამხედრო ძალა; 6. თუ ცხადი გახდა, რომ მოლაპარაკება შედეგს არ გამოიღებს და სამომავლოდაც ახალი აფეთქების საშიშროება იქნება, მოსახლეობა მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს.

დიდი საფრთხე ელოდა წმ. ნიკოლოზის სიმაგრეს, რომელიც პრაქტიკულად სიმაგრეს მხოლოდ ქალაქზე წარმოადგენდა, და არათუ ხანგრძლივი ალყის, არამედ ხანმოკლე თავდაცვითი ბრძოლის გადატანაზე არ შეეძლო. სიმაგრის სასოწარკვეთილი უფროსი, კაპიტანი შვედინი, მორე სახაზო ბატალიონის მეთაურს მაიორ კრინიციუსს თხოვდა, რაიმე დახმარება აღმოეჩინა გურიანთა მხრიდან. აჯანყებულები სწრაფად და გაბეულად მოახლოვდნენ და კრინიციუსს მხრიდან მოსალოდნელი დახმარების მიღებას არ დაუშვებდნენ. წმ. ნიკოლოზის სიმაგრეს არ გააჩნდა თავდაცვისათვის აუცილებელი არც მიწაყრდენი და არც სანერგები, სიმაგრის ტერიტორიაზე არ იყო სურსათისა და საბრძოლო მასალის საწყობები. სიმაგრეს მუდმივი გარნიზონიც არ ჰყავდა, ოზურგეთიდან საგუმბო სამსახურისათვის გარკვეული ვადით იგზავნებოდა 3 ოფიცერი, 20 ჯარისკაცი და 7 კახაჯი. ჭაბის ჰავა ჯარისკაცთა ხშირი ავადმყოფობის მიზეზი იყო. 1841 წლის აგვისტოს დადგენილების წმ. ნიკოლოზის სიმაგრეში 13 ახალწვეული ჯარისკაცი და 1 უმცროსი ოფიცერი იმყოფებოდა. ახალწვეულებს ერთიანად დარია ხელი ციებამ. ალექსეი ბრუსილოვმა კარგად იცოდა სიმაგრის სავალალო მდგომარეობის შესახებ, ამიტომ მისი გარნიზონის გაძლიერების ბრძანება გასცა. 1841 წლის 9 აგვისტოს რეგულ-კალენდარ წმ. ნიკოლოზის სიმაგრის გასაძლიერებლად დაიბრუნა პირველი სახაზო ბატალიონის რაზმი, მაგრამ იმის გამო, რომ ნატანების საგუმბო უკვე აჯანყებულების ხელში იყო, რაზმი სიმაგრეში ვერ შევიდა. 10 აგვისტოს წმ. ნიკოლოზის სიმაგრეში 2.000 აჯანყებული მოუახლოვდა. აჯანყებულთა ერთ-ერთ რაზმს ახნაური აბესა ბოლქვაძე მეთაურობდა. ხანმოკლე შეტაკების შემდეგ, რომლის დროსაც ერთი ჯარისკაცი დაიჭრა, 900 აჯანყებული სიმაგრეში შეიჭრა, გაძარცვა და დაარბია იგი. სიმაგრეში შეჭრილი აჯანყებულები, პირველ რიგში, ყაზარმაში შევიდნენ, ხელთ იგდეს იარაღი და საბრძოლო მასალა და მხოლოდ ამის შემდეგ

გაემართნენ სიმაგრის უფროსის, კაპიტან შვედინის, სახლისაკენ. მათ შვედინს მოსთხოვეს მის სახლში დაცული იარაღის, თოვისწამლისა და, საერთოდ, მთელი ქონების გადაცემა. უარის შემთხვევაში, აჯანყებულები ტყვეების დახვედრით იმუქრებოდნენ. შვედინმა მოთხოვნა შეასრულა. 200 აჯანყებულმა გაძარცვა საბაჟო, იქ დაცული დოკუმენტაცია დაწვეს. სიმაგრის დაკავების შემდეგ 100 აჯანყებული იქვე დარჩა, ხოლო 1000 კაცი ნატანების საგუმბოსთან დადგა. კაპიტანმა შვედინმა აჯანყების მეთაურებთან მოლაპარაკების შედეგად გარნიზონის 14 სამხედრო მოსამსახურესთან ერთად სიმაგრის დატოვების უფლება მიიღო. რუსები მდინარე ნატანების შესართავთან მდგარი კარჭაბით რეგულ-კალენდარს აპირებდნენ გადასვლას, მათ საბაჟოს მომსახურე პერსონალიც შეუერთდა. დაიბრუნა თუ არა კარჭაბი, წმ. ნიკოლოზის სიმაგრეში მყოფმა აჯანყებულებმა ცეცხლი გახსნეს. კარჭაბმა აფრის აშვება და ზღვაში შესვლა მოასწრო.

წმ. ნიკოლოზის სიმაგრის დაკავებასთან ერთად, აჯანყებულებმა დაიკავეს მდინარე მალთაყვასა და მდინარე სუფსაზე არსებული გადასასვლები. ამის შემდეგ იმის 1841 წლის 11 ან 12 აგვისტოს ოზურგეთზე დაიქრობის დაწყებას აპირებდნენ. მოგვიანებით აჯანყებულებმა ცეცხლს ოდნავ შეცვალეს და სოფელ გურანთაში გამაგრებული პირველი სახაზო ბატალიონის განადგურება გადაწყვიტეს. სანამ გურიანთის გარნიზონს შეუტევდნენ, ოზურგეთიდან გურიანთისაკენ მიმავალი გზა მათ თხრილებითა და ხერხელებით დაფარეს. გზის ჩახერგვის ამბავი პოლკოვნიკ ბრუსილოვს ლიხაურის მორე სახაზო ბატალიონის მეთაურს გაუგებრობა მოუტანდა. ბრუსილოვმა ჩათვალა, რომ ან იმავე ბრძოლა, 10 აგვისტოს, ან მორე დღეს გამთენიისას აჯანყებულები ოზურგეთს დაესხმოდნენ თავს. მან ოზურგეთიდან სამი ვერსის მოშორებით მდგარი კარანტინის შენობის დასაცავად 25 ჯარისკაცი გაგზავნა და იმედოვნებდა ოზურგეთში მყოფ გურიის მილიციის უფროსს კარანტინის შენობის დასაცავად დამატებით მილიციელთა რაზმით დახმარება უბრძანა. გურიის მილიციის უფროსი და სხვა თავადები თვლიდნენ, რომ მილიციაში მომსახურე ახნაურებისა და გლეხობის ნდობა არ შეიძლებოდა, რის გამოც კარანტინის შენობის დასაცავად რაზმის გაგზავნაზე მათ ბრუსილოვს უარი უთხრეს. ბრუსილოვმა კარგად უწყობდა, რომ მილიციის ნდობა საშიში იყო. 10 აგვისტოს, საღამოს, დაიწყო ძლიერი წვიმა, რომელიც 11 აგვისტოსაც გაგრძელდა, რამაც აჯანყებულების მოქმედება შეაფერხა. ამით ისარგებლა ბრუსილოვმა და 11 აგვისტოს გამთენიისას 50 ჯარისკაცი და 30 თავადი გურიის მილიციიდან კარანტინის ოზურგეთის საბაჟოს შენობაში გადასატანად გაგზავნა. კარანტინის შენობას მოახლოვებულმა რუსმა ჯარისკაცებმა და ქართველმა თავადებმა ტყით დაფარული მთის კალთებიდან ჩამომავალი აჯანყებულები შენიშნეს. მათ მოსვლამდე თავადებს და ჯარისკაცებს კარანტინის შენობიდან ქონების ძირითადი ნაწილის გამოტანა მოასწრეს, ცხენებსა და ურბეზზე დატვირთეს და ოზურგეთისაკენ დაიძინენ. აჯანყებულებმა კარანტინის შენობა გადაწყვეს.

ოზურგეთში მყოფი პოლკოვნიკი ალექსეი ბრუსილოვი უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მის დაქვემდებარებაში 1841 წლის 13 აგვისტოსათვის იყო: 500 რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი, 100 მილიციელი, 20 კახაჯი 2 ზარბაზნითა და 8 ყუმბართი. 14 აგვისტოსათვის გურიის რაზმს უნდა შეერთებოდა: მორე სახაზო ბატალიონის 200 ოფიცერი და

ჯარისკაცი მე-19 საარტილერიო ბრიგადის 2 ზარბაზნითა და მაიორ ლობოდას რაზმი – 125 ოფიცერი და ჯარისკაცი. დამხმარე ძალის მოსვლა, რა თქმა უნდა, სასისარულო იყო, მაგრამ ოზურგეთში სურსათისა და პროვიანტის მარაგი თითქმის ამოწურულიყო. რეგულ-კალენდარ წმ. ნიკოლოზის სიმაგრის გავლით პროვიანტის მიღებას რუსები ვერ შეძლებდნენ, რადგან სიმაგრე უკვე აჯანყებულებს ეკავათ. ბრუსილოვს აფიქრებდა ისიც, რომ მალე ოზურგეთში პოლკოვნიკი არსენიძისკი უნდა მოსულიყო ახალციხის მილიციით. კავკასიის კორპუსის შტაბის განკარგულების თანახმად, პოლკოვნიკი ბრუსილოვი ჩრდილო კავკასიაში უბიხების წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა გამგზავრებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოზურგეთში არსენიძისკი ჩავიდოდა.

ოზურგეთში თავდაცვისათვის ემზადებოდნენ. დროებით შტერდა ცხელი საშუალო, რაც გარნიზონში ზამთრის დადგომამდე უნდა დასრულებულიყო. შეიარაღდნენ სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის ისინიც კი, ვინც ჩვეულებრივ იარაღს არ ატარებდნენ. იარაღი დაურიგეს გურიის მილიციასაც. მოუხდებოდა გატარებული ღონისძიებებისა, ვითარება მაინც კრიტიკული იყო: საბრძოლო მასალა არ იქმნებოდა ხანგრძლივი ბრძოლებისათვის, გურიის მილიციას ტყვია-წამალი საერთოდ არ გააჩნდა, სწრაფად მკურნალებად პროვიანტის მარაგი, თითქმის აღარ იყო ფურაჟი ცხენებისათვის, გარნიზონის ოფიცრებისა და ჯარისკაცების მნიშვნელოვანი ნაწილი ციებით იყო დაავადებული, 250 კაცი პოსტილალში იწვა, მათ რიცხვს ყოველდღიურად ემატებოდა 15-20 ადამიანი. ციებამ განსაკუთრებით დარია ხელი ახალციხიდან გადმოსროლილ მესამე სახაზო ბატალიონის ჯარისკაცებს. აჯანყების მიმდინარეობის შესახებ ბრუსილოვი ცნობებს შემთხვევით შემთხვევამდე ერთ ბეზობიდა. არაფერ უწყობდა, შეძლებდნენ თუ არა ოზურგეთისაკენ გაჭრას სხვადასხვა საგუმბოზე მდგარი რაზმები. ოზურგეთამდე მოღწეული ცნობების თანახმად, ლიხაურის საგუმბო (1 ოფიცერი და 8 ჯარისკაცი) უკვე განიცდიდა სურსათის ძლიერ ნაკლებობას. საგუმბოს აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს და გარესამყაროს მოსწვევდნენ. 1841 წლის 13 აგვისტოს საგუმბოზე მყოფმა ოფიცრმა და ჯარისკაცებმა ლიხაურის მორე სახაზო ბატალიონის მეთაურის დახმარების დასმარებით ალყას თავი დააღწიეს და ოზურგეთში ჩავიდნენ. ბრუსილოვმა მორავის დედა 10 ვერცხლის მანეთით დააჯილდოვა. გურიანთის საგუმბოზე პროჩიკი მიქელაძის მეთაურობით პირველი სახაზო ბატალიონის 9 უმცროსი ოფიცერი და 70 ჯარისკაცი იდგა. 10 აგვისტოსათვის აქ სურსათის მარაგი ამოწურა, 11 აგვისტოდან კი საგუმბო ალყაში მოექცა. პროჩიკმა მიქელაძემ პროვიანტის მარაგის შევსება და 35 ჯარისკაცის მიშველება თხოვა. ბრუსილოვმა გურიანთის საგუმბოს დახმარება ვერ აღმოუჩინა, რადგან პროვიანტით დატვირთული ურბეზი აჯანყებულებმა იგდეს ხელი. პოლკოვნიკმა ისლა მოახერხა, რომ სიმინდისა და ღობის შესასყიდად პროჩიკი მიქელაძეს 30 ვერცხლის მანეთი გაუგზავნა. მიქელაძემ მხოლოდ 5 მანეთის ღირებულების სიმინდის შეყიდვა მოახერხა, რაც ოფიცრებისა და ჯარისკაცების გამოსაკვებად მხოლოდ 13 აგვისტომდე იკმარებდა. 13 აგვისტოს პროვიანტის ამოწურვის შემდეგ მიქელაძემ მაიორ ნაკაშიძეს და მის მძებთან თათბირის შემდეგ გადაწყვიტა, საგუმბო დაეტოვებინა და ოზურგეთის გარნიზონს შეერთებოდა, მგზავრობა ნაკაშიძემ იკისრა. მიქელაძემ დამის სიხველით ისარგებლა და ტყის ბილიკებით ოზურგეთისაკენ

დაიძრა. რაზმმა ოზურგეთის მშვიდობიანად დაიჭრა. მაიორ ნაკაშიძის ოჯახის წევრები გურიანთაში ვეღარ გაჩერდებოდნენ, ამიტომ ისინი ლანჩხუთში, თავად მაჭუტაძის მამულში, გახიზნეს. გურიანთაში რუსეთის ჯარის საგუმბოს მოხლის შემდეგ ოზურგეთიდან ფოთისა და წმ. ნიკოლოზის სიმაგრისაკენ მიმავალ გზებზე აჯანყებულებმა სრული კონტროლი დაამყარეს.

სოფელ ასკანასთან საგუმბოზე მდგარი 6 ჯარისკაცი სურსათის გარეშე იყო დარჩენილი. პოლკოვნიკმა ბრუსილოვმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ დამწეულ ჯარისკაცებს 6 პური გაუგზავნა. ლიხაურელების მიერ წაქეზებულმა ასკანელმა 12 აგვისტოს რუსეთის ჯარის საგუმბოს ალყა შემოარტყეს და მის განადგურებას აპირებდნენ, მაგრამ შემდეგ რატომღაც გადაიფიქრეს და გა-
გვიანების საგუმბო აიკლეს და გაძარცვეს. ლიხაურელებმა რომ შეიტყვეს, ასკანის საგუმბო გადარჩა, 50 შეიარაღებული გლეხი ასკანისაკენ დაიძრა, მაგრამ შიმშილისაგან განაწამები რუსი ჯარისკაცები ასკანის მორავაში იხსნა. მან აჯანყებულებს საგუმბოს განადგურება გადააფიქრებინა.

1841 წლის 8-13 აგვისტომდე აჯანყებულებმა ოზურგეთის გარ-შემო რუსეთის ჯარის ცხელი მნიშვნელოვანი საგუმბო განადგურეს, ოზურგეთი მოსწვევდნენ წმ. ნიკოლოზის სიმაგრეს, ფოთს და რეგულ-კალენს. რუსები ვერჯერობით აკონტროლებდნენ ოზურგეთიდან სოფელ საჯავახოს გავლით ქუთაისისაკენ მიმავალ გზას. მართალია, ოზურგეთის გარეშე აჯანყებულთა სულ უფრო დიდი რაოდენობა იყრიდა თავს, მაგრამ ისინი მზრის ცენტრზე შეტევას ვერჯერობით არ აპირებდნენ.

ოზურგეთის გარეშე აჯანყებულთა თავმოყრის დღეებმა გაგრძელდა ხმა, რომ ქობულეთის სანჯაყიდან აჯანყებული გურულების დასახმარებლად 100 ოსმალი მეთომარი გადმოვიდა. თავისთავად, ეს რუსებმა ქობულეთის სანჯაყის მმართველ ჰასან თავდგირიძეს დაუკავშირეს. მოულოდნელად ჰასან ბეიმ პოლკოვნიკ ალექსეი ბრუსილოვს შემოუთვალა, რომ მას, როგორც რუსეთის მოსახლურე ოსმალი-რუსეთის პროვინციის მმართველს, სურდა დახმარება აღმოეჩინა ოსმალითის მეგობარი ქვეყნის, რუსეთისათვის. ჩვეულებრივ ვითარებაში ბრუსილოვი სერიოზულად არ მიიღებდა ჰასან ბეის წინადადებას, მაგრამ ამჯერად იგი იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ შემოთავაზება სერიოზულად მიიღო. ბრუსილოვმა ჰასან ბეი თავდგირიძეს სთხოვა: 1. ქობულეთის სანჯაყის მონაკვეთზე რუსეთ-ოსმალითის საზღვრის დაცვა იმდენად გაძლიერებინა, რომ ვერც ოსმალები გადმოსულიყვნენ გურაში და ვერც გურულები – ქობულეთის სანჯაყში. 2. აეკრძალა ქობულეთის სანჯაყიდან გურაში ტყვია-წამლის შეტანა; 3. რუსეთის ხელისუფლებისათვის გადაეცა ტყვეებით მოვაჭრე გურულები, ხოლო ტყვეები სამშობლოში დაეტრუნებინა. ბრუსილოვმა იმავე თხოვნით მიმართა ყარსისა და არზრუმის ფაშებს. ჰასან ბეი თავდგირიძემ ბრუსილოვის თხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებლად მიიჩნია. 1841 წლის 13 აგვისტოს ბრუსილოვთან გამოცხადდა ორი ოსმალი, მათ თან მოიყვანეს ორი ქართველი, რომელთა გაყიდვას გამტაცებელი ქობულეთში აპირებდა.

საქართველოს ახალი ისტორია, 1801-1918, გვ. 512-516

ვასტანო გურული (გაგრძელება იქნება)

იუბილე

ვაჟა ახვლედიანი 75 წლისაა



მიწი ღოსი

დაიბადა 1944 წლის 4 აპრილს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსწავლეობის დროს ქვეყანა ომისგან მიყენებულ ნაირრევს იმუშებდა და მატერიალურად უჭირდა, საშუალო სკოლებში მაინც იმართებოდა კონცერტები და ოლიმპიადები. ცნობილმა პედაგოგმა, ცხონებულმა ნუნუ ქუთათელაძემ V კლასის მოსწავლეს ვაჟა ახვლედიანს თხოვა სასკოლო ოლიმპიადებზე ეცეკვა, მას მანამდე ქორეოგრაფიასთან არანაირი შეხება არ ჰქონია. ვაჟამ ოლიმპიადებზე შესანიშნავად იცეკვა „მხედრული“, ხანგრძლივი ტაში და ოვაციები დაიმსახურა, მაშინ შეიგრძნო ახალბედა ხელოვანმა, რომ ქორეოგრაფია მისი ცხოვრების ნაწილი უნდა გამხდარიყო. სულ ახალგაზრდა ყმაწვილი

საქვეყნოდ ცნობილმა ქორეოგრაფმა ვახტანგ მეგრელაძემ მაშინდელი მასწავლის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ჩარიცხა სოლისტ-მოცეკვავედ, ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა, როცა 15 წლის ახალგაზრდა სახელმწიფო ანსამბლის წევრი ხდება. მაშინ ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ღირსი ვლადიმერ ერქომაიშვილი იყო.

რეპალიზი:

მინიჭებული აქვს: კულტურის დამსახურებული მუშაკის, ქორეოგრაფიის ამაღარის, ხელოვნების ქორეუმის საპატიო წოდებები. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, არის „ოქროს მართვეს“ და „ოქროს არწივის“ მედალოსანი, ქორეოგრაფიის საზოგადოების წევრი, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მისი ნიჭიერება და კაცურკაცობაა. გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, უცხოელებს გააცნო ქართული ცეკვის მადლი.

ძირითადი პროფესია ბუღალტერ-ეკონომისტი.

მისი ახლოვლები

მამა – ვანიჩკა ახვლედიანი, ლოტბარ ვარლამ სიმონიშვილის ანსამბლის სოლისტ-მომღერალი და მოცეკვავე იყო.

დედა – თამარ სადრაძე, მუსიკალურად განათლებული ქალბატონი, ფლობდა ყველა სახის ქართულ სიმღერას ინსტრუმენტს.

მეუღლე – მარიამ მექვაბიშვილი, ყოფილი მოცეკვავე, არის შესანიშნავი კულინარი. „უყვარს სტუმარი, მობრძანდი, დაბრძანდი და მიირთვი, გამიჩინა ქალ-ვაჟი და დამიზარდა, მან ჩემი ცხოვრება გაალამაზა, ამიტომ საქვეყნოდ ვუხდი მადლობას“, – ბრძანებს ბატონი ვაჟა.

მისი სამეგობრო

ანზორ სტეფანია, ელგუჯა მამალაძე, ვულაია სალუქვაძე, ნოდარ (ბაქსა) გოგუა, ოლეგ მამალაძე, ელდარ მდინარაძე, ოლეგ

გობრონიძე, ანზორ გვარამაძე, ალექსი ვანაძე, ომარ ხურციძე, გიგლა ნაჭყვია, კობა ღუნდუა, ირმა სვანაძე, მელის ნადირიძე, მანანა მაკარიძე, ბესო ქურცუა, ნოდარ ლობჟანიძე, მერაბ მორჩილაძე, ემზარ სანიკიძე, ნათია ღუნდუა, ნუკრი ლლონტი, ეს მისი მეგობრები ქორეოგრაფიიდან, ერთმანეთის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ ყოფნა.

მამამისი ვანიჩკა (ივანე) ახვლედიანი ხელოვანი კაცი იყო, იგი ვაჟასთვის მხოლოდ შრომელი კი არა, მეგობარიც იყო, სულ ურჩევდა შვილს: თუ მქუხარე ტაშს დაგიკრავენ, თავი დახარე მაყურებლის წი-ნაშე, გულწრფელი მადლობა გადაუხადე გულზე ხელის დადებით, იცოდე, იგი ტაში მხოლოდ შენ არ დაგიმსახურებია, სხვებსაც ეკუთვნისო. გასოვდეს, შენს წარმატებაში შენი მეგობრების დიდი შრომაა ჩადებული. ვაჟა მამის დანაბრებს გულმოდგინედ ასრულებს.

მისი მართი დღე

უყვარს დილით ადრე ადგომა, ვარჯიში, მიწასთან ჭიდილი, თევზაობა, ახალი თაობების აღზრდა და მათთვის ქართული ეროვნული ცეკვების შეყვარება, ყოველდღიურად ახსენდება ბატონი გიორგი სალუქვაძის სიტყვები: „ვაჟა, შენ ცეკვი-სთვის ხარ დაბადებული. აბა, შენ იცი, არ დაკარგო ჩვენი საგანძური გურული ცეკვეთით“, ვაჟაც დიდი რუდუნებით ასრულებს დიდი მესტროს სიტყვებს (ანდერძს).

მისი მიმწუხრი

ვანიცდის, რომ მის გვერდით აღარ არიან სიყრმის მეგობრები, ის ადამიანები, ვისთანაც იზიარებდა ჭირსა და ღზინს, ერთად მოიარეს გასტროლებით მსოფლიოს ქვეყნები. ესენია: დიდებული პიროვნება, საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი გიორგი სალუქვაძე; საქართველოს დამსახურებული არტისტი ვახტანგ მეგრელაძე; ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯუმბერ

ღუნდუა; მუსიკოსები: ოთარ გოგუაძე, გივი ლომთაძე და ვახტანგ ქარცივაძე; ქორეოგრაფები: თანდულა ნაცვალაძე, ზაურ ჯანიშვილი, კაკო კახიანი, სულიკო კაკალაძე, ამურ რამიშვილი, გურამ სირაძე, კუკური იაბლონსკი, გიზო თოხაძე, იუზა მამულაშვილი, საყვალა სალუქვაძე და სხვები. ყველა შეიძლება ვერ ჩამოვთვალო, აქვს წინადადება მარადისობაში გადასული მოღვაწეების სახლებზე გაკეთდეს მემორიალური დაფები და გადაუხადოთ მათ ხსოვნის საღამოები.

მაილოზი – „ჩემი ვაჟი“

იგი მართლაც არაჩვეულებრივი პიროვნებაა, მისი ნიჭიერებით, იუმორით, კაცთმოყვარეობით და სიმართლით. ვალდებულვად მიანჩნა დაეხმაროს ვისაც უჭირს, ამიტომ უყვართ, ღმირით ესაუბრებიან, უფრო მეტიც, მას ჩვენი ქალაქის კოლორიტად აღიარებენ.

მინდა ჩემი მოკრძალებული წერილი დავამთავრო ლექსით:

მთავარი არის, სუფთა გზებით იარო ქვეყნად, აბა, ასაკი რა სირცხვილად მოსატანია, ვიცით, რატომ ხარ ასე ლალი, ამაღლებული, უკან მოხედვის არ გეშინია და გიხარია.

მართლაც, ჩვენს განუყოფელ ქორეოგრაფს ვაჟა ახვლედიანს უკან მოხედვის არ ეშინია, რადგან ყოველთვის მადლიანი საქმის მკეთებელია. იგი წლების „წამოპარებას“ იუმორით შესცქერის. მისი ღვევიზია, დიდი ქორეოგრაფების შექმნილი ცეკვები „ფუნდრუკი“ „კალმხობა“, „ფარცა“ და სხვები არ დაიკარგოს და გადაეცეს მომავალ თაობას.

ჩვენი „ვაჟა“, იყავი დიდხანს, იღაწე ქართული ქორეოგრაფიისთვის, დაგელოცოს ღვთით მომადლებული ნიჭიერება!

ბასუბა ოთხმეზური.

ბრძენი და მასხარა ცხოველები სცენაზე ბრუნდებიან



თეატრის მსახიობები.

გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“ პირველად რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე დაიდგა მიხეილ თუმანიშვილის რეჟისორობით და წარმოდგენაში ქართული კინოს და თეატრის ვარსკვლავები მონაწილეობდნენ. მათ მიერ შექმნილი მხატვრული სახეები დღემდე კარგად ახსოვს ქართველ მაყურებელს. ახლა ოზურგეთის თეატრის მსახიობები შეეცდებიან თავისებურად გააცოცხლონ ცნობილი პერსონაჟები. სპექტაკლი გაჯერებულია მუსიკალურ-ქორეოგრაფიული პასაჟებით.

პიესის სცენური ვერსია ოთარ კულაძემ შექმნა, ხოლო მხატვრულად თამაზ დარჩიამ გააფორმა. მუსიკაზე გოგა მასხარაძემ იმუშავა. სპექტაკლის ქორეოგრაფია მარიკა ქვეითაია, ხოლო რეჟისორის ასისტენტი ირაკლი ვადაჭკორიაა. საპრემიერო სპექტაკლში როლები შემდეგნაირად გადანაწილდა: ჭინჭრაქა - ლევან საღინაძე, გიორგი ჩაველეშვილი, მზია - ანი გოდერძიშვილი, შორენა სიხარულიძე (თეატრის სტუდიელი), რევი - კობა ახალაძე, გიორგი ფულტარაძე, ვეზირი - ირაკლი ვადაჭკორია, ბაყბაყდვი - გენადი ნიკოლაშვილი, შუბონები - ნუგზარ ბარამიძე და თემურ კვიციანი. ქოსა - მრჩვეული - ივანე ჩხაიძე, უკვდავების მზეთუნახავი - შორენა გველაძე, დათვი - ზვიად ჯორბენაძე, მეგლი - ზაზა ჯინჭარაძე, ტურა - თამარ მდინარაძე, მარიამ გუჯაბიძე, მელა - ლია მარტიაშვილი, ანი კაშია. პრემიერა გურიანთის კულტურის სახლში 26 მარტს, 18 საათზე არის ჩანიშნული.

ლია კილაძე

ოზურგეთელმა მოკრივეებმა ღია კირკემლობიდან ორი ოქრო და ერთი ვერცხლი წამოიღეს!



ქ. სენაკიში, კრივში თამაზ ვახანიასა და შოთა ჯავახიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი გაიმართა.

შეჯიბრში საქართველოდან სხვადასხვა წონითი კატეგორიით მოასპარეზე სპორტს-

მენები იღებდნენ მონაწილეობას.

ღია პირველობაზე წარმატებით გამოვიდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებული კრივის სექციის სპორტსმენები.

ოზურგეთელმა მოკრივეებმა პრეტესტული ტურნირიდან ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის წამოღება შესძლეს.

გიორგი ხითაროვი (50 კგ. წონითი კატეგორია) - I ადგილი;

ომარ ბექაძე (60 კგ. წონითი კატეგორია) - I ადგილი;

საბა ხურცილავა (26 კგ. წონითი კატეგორია) - I I ადგილი.

ღია პირველობისათვის ოზურგეთელი მოკრივეები მწვრთნელებმა: გონა გაბეღავამ და იური საჯავიამ მოამზადეს.

ორი ვერცხლი რესპუბლიკური ტურნირიდან!

ოზურგეთელი მოჭიდავეები შეჯიბრებიდან ორი მეორე საპრიზო ადგილით დაბრუნდნენ!

დაბა ჩოხატაურში თავისუფალ ჭიდაობაში, 2004 -2006 წლებში დაბადებულთა შორის ხ.ცინცაბაძისა და ზ. ბიბნიეშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი გაიმართა.

ასპარეზობაში მონაწილეობა საქართველოდან 232 მოჭიდავემ მიიღო. ოზურგეთე-

ლმა ფალავნებმა ტურნირზე, თავიანთ წონით კატეგორიებში წარმატებით იასპარეზეს და შინ ორი ვერცხლის მედალი წამოიღეს.

გიორგი ბერიძე (32 კგ. წონითი კატეგორია) - II ადგილი

ლერი შავაძე (42 კგ. წონითი კატეგორია) - II ადგილი

მოჭიდავეები ასპარეზობისთვის მწვრთნელმა, დავით მაჭარაშვილმა მოამზადა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

Table with 7 columns showing weather forecasts for March 25 to 31. Each column includes a weather icon, temperature range, and location (e.g., Orshabati, Samshabati, Otshshabati, Shushabati, Parsakevi, Shabati, Kvira).